

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით (www.coe.int/humanrightstrustfund). სასამართლოსათვის იგი სავალდებულო ხასიათს არ ატარებს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ საავტორო უფლებების სრული მიმოხილვა მოცემული დოკუმენტის ბოლოს.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2012. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court. For further information see the full copyright indication at the end of this document.

© Conseil de l'Europe/Cour Européenne des Droits de l'Homme, 2012. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour. Pour plus de renseignements veuillez lire l'indication de copyright/droits d'auteur à la fin du présent document.

საინფორმაციო შეტყობინება სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე #137

იანვარი, 2011

ჰაასი (Haas) შვეიცარიის წინააღმდეგ - 31322/07

გადაწყვეტილება 20.1.2011 [I სექცია]

მე-8 მუხლი

პოზიტიური ვალდებულებები

მუხლი 8.1

პირადი ცხოვრების პატივისცემა

ფსიქიატრიული პაციენტისთვის თვითმკვლელობაში დასახმარებლად მედიკამენტის ხელმისაწვდომობაზე უარი: *დარღვევას არ ქონდა ადგილი*

ფაქტები - განმცხადებელი მწვავე ბიპოლარული აფექტური მოშლილობით იყო დაავადებული დაახლოებით ოცი წლის განმავლობაში. იმის გათვალისწინებით, რომ ამ დაავადებამ მისთვის შეუძლებელი გახადა ღირსეულად ცხოვრება, მან შვეიცარიის კერძო სამართლის ასოციაციას მიმართა მათ მიერ შემოთავაზებული მომსახურებით, მათ შორის თვითმკვლელობაში დახმარებით სარგებლობისთვის. განმცხადებელმა რამდენიმე ფსიქიატრს თხოვა გამოეწერათ მისთვის სასიკვდილო მედიკამენტი (sodium pentobarbital), მაგრამ უშედეგოდ. ამის შემდეგ მან სხვადასხვა ფედერალურ და კანტონის დონის ორგანოებს მიმართა თხოვნით, დაერთოთ ასოციაციის მეშვეობით მედიკამენტის შეძენის ნება, მაგრამ კვლავ უშედეგოდ. განმცხადებელმა მიმართა ადმინისტრაციულ სასამართლოებს და ბოლოს ფედერალურ სასამართლოს. 2006 წლის ნოემბრის გადაწყვეტილებით ფედერალურმა სასამართლომ უარი უთხრა მას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე, დაადგინა რა, რომ უნდა განასხვავონ ადამიანის უფლება საკუთარ სიკვდილზე - რაც არ იდგა დღის წესრიგში ამჟამად - და სახელმწიფოს ან მესამე პირის მხრიდან სუიციდში დახმარების მიღების უფლება, რაც არ შეიძლება მომდინარეობდეს კონვენციიდან. ევროპული სასამართლოს წინაშე განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მისი უფლება სიცოცხლის დასრულებაზე უსაფრთხო და ღირსეული გზით არ იქნა დაცული შვეიცარიაში, იმ პირობების გათვალისწინებით, რაც უნდა დაკმაყოფილებულიყო სასიკვდილო ნივთიერების მისაღებად, კერძოდ კი მედიკამენტის გამოწერა საფუძვლიანი ფსიქიატრიული შემოწმების საფუძველზე.

კანონმდებლობა - მე-8 მუხლი: ადამიანის უფლება გადაწყვეტოს როგორ და როდის უნდა დასრულდეს მისი ცხოვრება, იმ პირობით, რომ მას შესწევს უნარი ამასთან დაკავშირებით ჩამოაყალიბოს თავისი თავისუფალი ნება და იმოქმედოს შესაბამისად, იყო პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების ერთი ასპექტი. თუმცა, წინამდებარე საქმეზე დავა სხვა საკითხს ეხებოდა: ჰქონდა თუ არა სახელმწიფოს მე-8 მუხლის საფუძველზე „პოზიტიური ვალდებულება“, უზრუნველყო განმცხადებლის მიერ რეცეპტის გარეშე ნივთიერების მიღება, რაც მას უმტკივნეულო და გარანტირებული სიკვდილის საშუალებას მისცემდა. სასამართლომ ამასთან მიმართებით აღნიშნა, რომ ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნები შორს იყვნენ კონსენსუსიდან ადამიანის უფლებაზე, გადაწყვეტოს როგორ და როდის დაასრულოს სიცოცხლე. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულ წევრ ქვეყნებში თვითმკვლელობაში დახმარების დეკრიმინალიზაცია (მინიმუმ ნაწილობრივი) მოხდა, მათი დიდი უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს ადამიანის სიცოცხლის დაცვას და არა მისი დასრულების უფლებას. სასამართლომ დაადგინა, რომ ამ საკითხებთან მიმართებით სახელმწიფოები სარგებლობენ თავისუფალი შეფასების ფართო ფარგლებით.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ გაიზიარა ის, რომ შესაძლოა განმცხადებელს სურდა თვითმკვლელობის ჩადენა უსაფრთხო და ღირსეული გზით და არასასურველი ტკივილის გარეშე, მან მიიჩნია, რომ შვეიცარიის კანონმდებლობის მოთხოვნას, სოდიუმ პენტოთარბიტალის მისაღებად რეცეპტის აუცილებლობაზე ჰქონდა ლეგიტიმური მიზანი, კერძოდ კი ადამიანების დაცვა ნაჩქარევი გადაწყვეტილებისგან და მისი ბოროტად გამოყენების თავიდან აცილება, რისი რისკის უგულებელოყოფაც არ შეიძლება სისტემაში, რომელიც ხელს უწყობს თვითმკვლელობაში დახმარების ხელმისაწვდომობას. სასამართლომ გაიზიარა ფედერალური სასამართლოს ხედვა იმასთან დაკავშირებით, რომ სიცოცხლის უფლება ავალდებულებს სახელმწიფოებს შექმნან პროცედურა, რომლითაც შესაძლებელია იმის უზრუნველყოფა, რომ ადამიანის გადაწყვეტილება, დაასრულოს სიცოცხლე მის თავისუფალ ნებას გამოხატავს. საფუძველიანი ფსიქიატრიული შემოწმების საფუძველზე რეცეპტის გამოწერის მოთხოვნა ამ ვალდებულების შესრულების ერთერთი საშუალებაა. დაუდგენელი დარჩა ჰქონდა თუ არა განმცხადებელს ეფექტიანი ხელმისაწვდომობა სამედიცინო შემოწმებაზე, რაც მას სოდიუმ პენტოთარბიტალის მიღების შესაძლებლობას შეუქმნიდა (თუკი ასე არ იყო, მისი უფლება აერჩია როდის და როგორც მოკვდებოდა, თეორიული და ილუზორული იქნებოდა). თუმცა, სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ განმცხადებლისთვის შეუძლებელი იყო სხვა სპეციალისტის მოძებნა, რომელიც დაეხმარებოდა მას მის მოთხოვნასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნული მსჯელობისა და ამ სფეროში ეროვნული ორგანოებისთვის არსებული თავისუფალი შეფასების ფარგლების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ იარსებებს დაშვება, რომ სახელმწიფოებს აქვთ პოზიტიური ვალდებულება, მიიღონ ღირსეულად თვითმკვლელობის ხელშემწყობი ზომები, შვეიცარიის სახელმწიფო ორგანოებს არ დაურღვევიათ ეს ვალდებულება განმცხადებლის საქმეზე.

დადგენილება: დარღვევას არ ქონდა ადგილი (ერთხმად).

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
სამდივნოს მიერ მომზადებული ეს მოკლე შეჯამება სავალდებულო არ არის
სასამართლოსთვის

სასამართლო გადაწყვეტილებების მოკლე შეჯამებებისთვის მიჰყევით ბმულს [Case-Law Information Notes](#)

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ოფიციალური ენებია ინგლისური და ფრანგული. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით (www.coe.int/humanrightstrustfund). იგი სასამართლოსათვის სავალდებულო ხასიათს არ ატარებს და არც მის ხარისხზე აკისრებს პასუხისმგებლობას. მოცემული დოკუმენტი შეიძლება ჩამოტვირთულ იქნას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC სასამართლო პრაქტიკის მონაცემთა ბაზიდან (<http://hudoc.echr.coe.int>) ან ნებისმიერი სხვა მონაცემთა ბაზიდან, რომელთანაც სასამართლომ მოახდინა მისი გაზიარება. დასაშვებია თარგმანის რეპროდუქცირება არაკომერციული მიზნებისათვის იმ პირობით, რომ მოხდება საქმის სრული სახელწოდების ციტირება, მოცემულ საავტორო უფლებების აღნიშვნასა და ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდზე მითითებით. წინამდებარე თარგმანის ნებისმიერი ნაწილის კომერციული მიზნებით გამოყენების სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვწეროთ შემდეგ მისამართზე: publishing@echr.coe.int.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2012

The official languages of the European Court of Human Rights are English and French. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court, nor does the Court take any responsibility for the quality thereof. It may be downloaded from the HUDOC case-law database of the European Court of Human Rights (<http://hudoc.echr.coe.int>) or from any other database with which the Court has shared it. It may be reproduced for non-commercial purposes on condition that the full title of the case is cited, together with the above copyright indication and reference to the Human Rights Trust Fund. If it is intended to use any part of this translation for commercial purposes, please contact publishing@echr.coe.int.

© Conseil de l'Europe/Cour européenne des droits de l'homme, 2012

Les langues officielles de la Cour européenne des droits de l'homme sont le français et l'anglais. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour, et celle-ci décline toute responsabilité quant à sa qualité. Elle peut être téléchargée à partir de HUDOC, la base de jurisprudence de la Cour européenne des droits de l'homme (<http://hudoc.echr.coe.int>), ou de toute autre base de données à laquelle HUDOC l'a communiquée. Elle peut être reproduite à des fins non commerciales, sous réserve que le titre de l'affaire soit cité en entier et s'accompagne de l'indication de copyright ci-dessus ainsi que de la référence au Fonds fiduciaire pour les droits de l'homme. Toute personne souhaitant se servir de tout ou partie de la présente traduction à des fins commerciales est invitée à le signaler à l'adresse suivante : publishing@echr.coe.int.